საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060110261430817

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 4469 **23** / მაისი / **2017 წ.**

მოქალაქე ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, მიმდინარე წლის 5 მაისს შემოსული #8425 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმში, შპს „გუმბათი ბეტონი"-ს (ს/კ 245568700), რომელიც 2016 წლის 21 ივლისამდე მოქმედებდა „კანცერი"-ის სახელწოდებით, (მის: შანიძის პირველი ჩიხი, No11) განთავსებული აქვს სასაქონლო ბეტონის საწარმო., რომლზედაც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა/გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ არის გაცემული.

საწარმოს, 2015 წლის 13 ოქტომბერს, აჭარის არ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან შეთანხმებული აქვს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში (იხ.დანართი).

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია აწარმოოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი, ხოლო გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

გარემოსცდაცვითი ზედამხედველობის დაპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს მიერ 2017 წლის 30 მარტს, შპს „გუმბათი ბეტონი"-ს მიმართ შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82 [1] -ე მუხლის შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, რომ დეპარტამენტის მიერ უახლოეს პერიოდში იგეგმება შპს „გუმბათი ბეტონი"-ის (ს/კ 245568700) კუთვნილი სასაქონლო ბეტონის საწარმოს ინსპექტირება, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათ კონცენტრაციების გაზომვების განხორციელება.

აქვე გაცნობებთ, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი (გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი) დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალს განსაზღვრავს ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია „გუმბათი ბეტონი"-ს საქმიანობის ეკოლოგიურ ექსპერტიზისადმი (გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი) დაქვემდებარების საჭიროების დასადგენად, უნდა მოხდეს კომპანიის

საქმიანობის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის წარმოდგენა.

დანართი 26 გვერდი.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი)

ეკატერინე ბენდელიანი